საქართველოს მთავრობის

დადგენილება №462

2020 წლის 23 ივლისი

ქ. თბილისი

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მაისის №312 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მაისის №312 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/05/2020, 340170000.10.003.022024) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-6 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 მუხლი:

„**მუხლი 6^1.** ეთხოვოთ მუნიციპალიტეტების მერიებს, გამოყონ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიასთან“ (ს/ნ: 206348736) ერთად, უზრუნველყოფენ მიწის ნაკვეთ(ებ)ის აგროტექნიკური დამუშავების მომსახურების კოორდინაციას.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“:

ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო საქონლის ან/და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურების (შემდგომში – მომსახურება) ღირებულების სუბსიდირების გზით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების ხელშეწყობა.“;

ბ) მე-3 მუხლის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) **სუბსიდია** – საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვის მიზნით, სააგენტოს მიერ პროგრამის პირობების შესაბამისად ბენეფიციარ(ებ)ისათვის გათვალისწინებული დახმარება;“;

„ზ) **კომპანია** – სააგენტოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“ (ს/ნ: 206348736), რომლისგანაც ბენეფიციარი ბარათზე დარიცხული ქულების ან/და თანხის მეშვეობით შეძლებს მომსახურების მიღებას;“;

გ) მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ ბენეფიციარს ჯამურად საკუთრებაში/თანასაკუთრებაში გააჩნია არანაკლებ 1.25 ჰა-დან და არაუმეტეს 10 ჰა-ის ჩათვლით მიწის ნაკვეთ(ებ)ი, შეუძლია, ბარათზე დარიცხული ქულები ან/და თანხა გამოიყენოს საქონლის ან/და მომსახურების შესაძენად.

4. მომსახურების გაწევის მიზნით, მიწის ნაკვეთის ან/და მომიჯნავე მიწის ნაკვეთ(ებ)ის საერთო

ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1.25 ჰა-ს.";

დ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. კომპანიის მიერ შესასრულებელი მომსახურება

კომპანიის მიერ მომსახურების გაწევის შემთხვევაში, მომსახურების საფასური ბენეფიციარ(ებ)ს ჩამოეჭრებათ ბარათ(ებ)იდან, თანხის ან/და ქულების სახით.".

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**